

**ლ. ჯიბლაძე, ნ. პაპუაშვილი****ხის სახვნელი იარაღები ყულევის ნამოსახლარიდან**

კოლხეთის დაბლობის გერიგორიაზე შესწავლილ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლებს შორის თავისი უნიკალური აღმოჩენების მიხედვით ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უნდა მიეკუთვნოს ყულევის ნამოსახლარს (ყოფილი №2 უბანი), რომელიც მდებარეობს ხობის რაიონში, უშუალოდ მდინარე ხობისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, ზღვიდან 200-300 მეტრის დაშორებით (1, გვ.49-50; 16, გვ. 88).

1999-2001 წწ. ნამოსახლარზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრებისას (გათხრებს აწარმოებდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, ხელმძღვანელი რ. პაპუაშვილი) გვიანფეოდალური ხანის ფენასთან ერთად (XIX ს.) გამოიყო გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის 3 კულტურული ფენა. II და III კულტურული ფენები დათარიღდა ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისით და ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულით (დაახლოებით ძვ.წ. XII-X და ძვ.წ. X-VIII საუკუნეები). ყველაზე ქვედა IV კულტურული ფენა კი, რომელიც შეიცავდა ნახევამუს ძირა ფენის ტიპურ მასალებს, განისაზღვრა ძველი კოლხური I ეტაპის დასაწყისით (ძვ.წ. II ათასწ. II ნახევარი) (ტაბ. I 1; 2, გვ.31-32; 16, გვ.88).

ყულევის მრავალრიცხოვან უნიკალურ მასალებს შორის ყურადღებას იპყრობს მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ხის სახვნელი და ამ რიგის იარაღის შემორჩენილი ერთ-ერთი დეგალი, სამუშაო კავი.

ხის სახვნელი აღმოჩნდა 2,5 მ. სიღრმეში, უძველეს IV კულტურულ ფენაში, ძელური ნაგებობის ნაშთებს შორის (ტაბ. I 2) და ძველკოლხური კერამიკის ფრაგმენტებთან ერთად. იგი საგანგებოდ არის დამუშავებული და დამზადებულია ერთიანი მუხლიანი ხისაგან. მასალად გამოყენებულია მაგარი ჯიშის ხე, სავარაუდოდ მუხა. სახვნელის სახელურის სიგრძეა 1 მ, სამუშაო მცოცავი კავის კი 50 სმ, სისქე 8-10 სმ. სახვნელი შედგება წელში გაზნეტილი სახელურისაგან, რომელიც ხელის მოხერხებული ჩაჭიდებისთვის იყო გამიზნული. ასევე, სამუშაო მცოცავი კავისაგან, რომელიც წვერისკენ თანდათან ვიწროვდება. აღსანიშნავია, რომ სამუშაო კავი წვერშია მოღუნული. ვფიქრობთ, რომ ყულევის ეს მარტივი სახვნელი იარაღი დამზადების პროცესშია და დასრულებული ფორმა არ გააჩნია (ტაბ. II 1).

მდინარე ხობისწყლის მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ გავლებულ №5 თხრილში, IV კულტურულ ფენაში, როგორც მოვისხენიეთ აღმოჩნდა 50 სმ. სიგრძის მაგარი ჯიშის ხისაგან დამზადებული დეტალი, რომელიც სავარაუდოდ სახენელის სამუშაო მცოცავ კავს უნდა ეკუთვნოდეს. ამ ნივთის გაგრძელებაზე შემორჩენილია ასევე სახელურის ქვედა ნაწილის ფრაგმენტი. კავი კარგად არის დამუშავებული და სამუშაო პირი მიწისკენ ოღნავ დაქანებულიაა მიმართული. იგი ადრეული სამიწათმოქმედო იარაღების მსგავსად იმ რიგადაა მოწყობილი, რომ მუშაობის პროცესში მიწა მცოცავ კავს აჰყვეს და გვერდზე გადაწვეს. ამ მიზნით წვერში ოღნავ ნაკლული კავი ბოლოსკენ თანდათანობით მაღლდება და განივრდება. აქვს ოღნავ გამოწეული ქუსლი. სხვა დეტალი ამ ნივთს არ გააჩნია (ტაბ. II2).

საინტერესოა, უძველესი სახენელების რომელ სახეობას განეკუთვნება ყულევის ეს სამიწათმოქმედო იარაღები, რომელთა საწყისები და პარალელები გვხვდება ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნიდან მოყოლებული ახლო აღმოსავლეთში ჰექტოგრამებზე და ბექტებზე გამოსახულებების მიხედვით (14, გვ.53, 62, 86-88, სურ. 2 1-23; 12, გვ.22). უფრო გვიან კი სახენელი იარაღები ფეხს იკიდებს და ვრცელდება ევროპაში (15, გვ.82,85, სურ. 47, 50, 54).

ფიქრობთ, ყულევის ნამოსახლარზე აღმოჩენილი მიწის სახენელები ერთსახელურიან შედგენილ ტიპს უნდა ეკუთვნოდეს, რომელსაც შესაძლოა სხვა უძველესი სამიწათმოქმედო იარაღების მსგავსად სამუშაო კავზე, ან სახელურისა და კავის შეერთების ადგილზე ებმებოდა სხვა გასაქანი ნაწილი (მხარი, რვალი) და ღვედით მაგრდებოდა. იქნებ ამ არგუმენტს ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ ამ ნივთის სახელურზე და სამუშაო კავზე სახენელის მხარის ჩასამაგრებელი ნახვრეტი არ დასტურდება.

ყულევის ხის სახენელებს უახლესი პარალელები მოეპოვება ჩოლოქისა (IV ფენა) (ტაბ. II<sub>4-9</sub>) და ფიჩორის ნამოსახლარის ცენტრალურ ბორცვზე (VIII კულტურული ფენა) (ტაბ. II<sub>9-10</sub>) ძვ.წ. III და II ათასწლეულების დასასრულით დათარიღებულ ერთსახელურიან ამ რიგის სამიწათმოქმედო იარაღებთან (8, გვ.88-91; 10, გვ.119-130; 11, გვ.46-58; 12, გვ.157-166; 13, გვ. 183; 9, გვ.253-257; 4, გვ.11-19; 3, გვ.79). აქვე დამუსტებისთვის შეიძლება ითქვას, რომ სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებთან ერთად კოლხეთის უძველესი სახენელები დეტალურად განხილული აქვს ლ. ბიბიგურს (11, .86-58; ტაბ. IV, V; 12, გვ. 157-166). მოგიერთი დეტალის მიხედვით შეხების წერტილები შეიმჩნევა საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დაცულ სახნისებთან (5, გვ.269, სურ.1; 6, გვ.18, გვ.337, სურ.1,2,3; 7).

ვფიქრობთ, იმავდროულად არ უნდა გამოირიცხოს ყულევის ნივთების მიხნევა უბრალო მიწის საკვალავ ჯოხად, რა დროსაც სამუშაო პროცესს თვით ადამიანი ასრულებდა.

როგორც ცნობილია, წინა აზიაში და ევროპაში უძველესი პერიოდიდან არსებობდა ხისა და რქისაგან დამზადებული ამ რიგის სამიწათმოქმედო იარაღები - მიწის საკვალავი ჯოხები. ვარაუდობენ, რომ მათი წარმოშობა უნდა მომხდარიყო ძვ.წ. V-IV ათასწლეულების მიჯნაზე (წინა აზია), საიდანაც იგი ძვ.წ. III ათასწლეულში ევროპაში გავრცელდა (17, გვ. 213, სურ. 9).

ამრიგად, ყულევის აღმოჩენამ ფიჩორისა და ჩოლოქის ამ რიგის სამიწათმოქმედო იარაღებთან ერთად კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ კოლხეთის დაბლობზე ძვ.წ. III-II ათასწლეულებში გავრცელებული ყოფილა ერთსახელურიანი მიწის საკვალავი (სახვნელი) სამიწათმოქმედო იარაღები. შესაძლოა შედგენილი სახვნელის შემთხვევაში ეს ნივთი გამწვევი ძალიანაც ყოფილიყო.

### ტაბულების აღწერა

- I. ყულევის ნამოსახლარი, 1. IV კულტურული ფენის სიგუაციური გეგმა და ჭრილები; 2. ხის სახვნელი.
- II. სახვნელი იარაღები და მიწის საკვალავი ჯოხები: 1-2 ყულევი; 3, 10 ფიჩორი; 4-9 ჩოლოქი.
- III. მიწის სახვნელი და საკვალავი ჯოხები: 1-4 ცენტრალური ევროპა; 5-7 ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი; 8, 10-12 შუა და დასავლეთი აზია; 13-14 აღმოსავლეთი ევროპა; 15 ჩრდილოეთი და დასავლეთი ევროპა.



17. ნაიაია ნ. იბინინააიაა ჩაიააააა, ი., 1978.  
 18. აბააა ა. ე აინინო ი იბინინააიააა აააააააა იაბინინო  
 იბინაა. საქოთელოს მეცნიერებათა აკადემიის მოაბეა. II, N 3-4,  
 აა., 1941.

*L. Djibladze, N. Papuashvili*

**Wooden land ploughing implement from Kulevi settlement**

In Kulevi settlement in the IV cultural layer (II half of II millennium B.C.) one - handeld land ploughing wooden plougher which is discovered and found as the nearest parallel with wooden ploughing implements from Pichori and Choloki are discovered (the and of the III millennium B.C.; the end of the II millennium) and also in the Middle Bast and Europe with the known land ploughing implements of that type.

*ე. ააააააააა, ი. იაინააააა*


**აბააააააააა ჩაიააააააააა იბინაა აა იინააააააა**

(ააააა)

ა იინააააააააა აააააა ა IV-ის ბბბბბბბბბბბბ (აბინაააა  
 იაიაააააა II ბბბბ+ბბბბაა აა ი.ა.) იაიაბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბ  
 ბბ+ბბა ჩაიააააააააააააააა, ბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბ  
 ააბბააა  
 ბბბბ+ბბბბაა აა ი.ა. - ბბბბბ II ბბბბ+ბბბბაა აა ი.ა.), ა ბბბბ  
 ბბ  
 ბბ


I

ყულევის ნამოსახლარი (ნ. ალექსანდრე ჯანის სოციალური კვლევა)



1-5. IV კულტურული ფენა

წინდითადად ყელის ტერიტორია



პირობითი ნიშნები:

- კორდოვანი ფენა
- I კულტურული ფენა
- II კულტურული ფენა
- III კულტურული ფენა
- IV კულტურული ფენა
- ხელოვნური ფენა
- ვრუწვი

2



